KA011886583981020

24 / თებერვალი / 2020 წ.

№ 31255

სახელმწიფო სერვისების განვითარების
სააგენტოს მხარდაჭერის დეპარტამენტის
დირექტორს ქალბატონ ნინო ინწკირველს

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ნინო,

როგორც მოგეხსენებათ ქ. დედოფლისწყაროში, შირაქის ქ-ის შესახვევში (საკ.კ. 52.08.35.337) მიმდინარეობს საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა. 2019 წლის 21 ნოემბერს სააგენტომ მიმართა შპს „საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანია“-ს, რომელიც არის აღნიშნულ რეგიონში წყლის განაწილების ლიცენზიანტი კომპანია, საზოგადოებრივი ცენტრის შენობის წყალმომარაგების და წყალარინების სისტემებზე მიერთების განაცხადით.
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის № 32 დადგენილების, 18l მუხლის, 2 პუნქტის შესაბამისად სააგენტომ წინასწარ გადაიხადა მოთხოვნილი სიმძლავრის (წყალშემყვანი მილის დიამეტრი დ=63მმ; წყალარინების მილის დიამეტრი 100მმ) შესაბამისი სრული საფასურის (წყალმომარაგების სრული საფასური - 3400 ლარი, წყალარინების - 1000 ლარი) ნახევარი.
შპს „საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანია“-მ მიმდინარე წლის 21 იანვარს დაასრულა წყალარინების, ხოლო 5 თებერვალს წყალმომარაგების გარე ქსელების სამონტაჟო და მოქმედ ქსელთან მიერთების სამუშაოები. სამუშაოები შესრულდა აღნიშნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის №32 დადგენილებით განსაზრვრულ ვადებში.
გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურებს აღნიშნული მომსახურების დარჩენილი საფასურის - 2200.00 (ორი ათას ორასი ლარი და 00 თეთრი) ლარს, გადარიცხვა შპს „საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანია“-ს საბანკო ანგარიშზე.
დანართი:
1. ინსპექტირების აქტი - 1 ფურცელი;
2. მიღება-ჩაბარების აქტები - 1 ფურცელი;
3. დალუქვის აქტი - 1 ფურცელი;
4. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“-ს საბანკო რეკვიზიტები - 1 ფურცელი;
5. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა - 1 ფურცელი.

პატივისცემით;

შესყიდვების სამსახურის მთავარი
სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ანა ომანაძე